

CRP-ის მოთხოვნა # 2016/1 - შესაბამისობის შესწავლის მოთხოვნა

რომელიც ეხება

სესხს # 3063– GEO: MFF „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა – ტრანში 3“

შესაბამისობის შესწავლის ტექნიკური დავალება

I. შესავალი

1. ტექნიკური დავალება (TOR) მომზადებულია შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის (CRP) მიერ სესხის 3063–GEO: MFF „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა – ტრანში 3 (პროექტი)“ შესაბამისობის შესაფასებლად 2016 წლის 14 მარტს CRP–ის მიერ მიღებული შესაბამისობის შესწავლის მოთხოვნის (მოთხოვნა) (დანართი) საფუძველზე.
2. 2016 წლის 24 მაისს CRP–მა მოთხოვნა დასაშვებად მიიჩნია და ADB–ის დირექტორთა საბჭოს (საბჭო) პროექტის შესაბამისობის განხილვის სანქციონების რეკომენდაცია მისცა. საბჭომ განიხილა CRP–ის დასაშვებობის ანგარიში პროტესტის გარეშე და 2016 წლის 14 ივნისს შესაბამისობის განხილვის სანქცირება მოხდა.
3. ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის (AMP) 183–ე პარაგრაფის და ოპერაციების სახელმძღვანელოს (OM) ნაწილი L1 ოპერაციული პროცედურების (OP) 76–ე პარაგრაფის შესაბამისად წინამდებარე წინამდებარე ტექნიკური დავალება (TOR) რომელშიც წარმოდგენილია მოქმედების სფერო, მეთოდოლოგია, განხილვის სავარაუდო ვადები, ბიუჯეტი, CRP–ის წევრთა დავალება და შესაბამისობის განხილვისთვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია კლირენსისთვის წარედგინა *საბჭოს შესაბამისობის განხილვის კომიტეტს* (BCRC). კლირენსის შემდეგ CRP ტექნიკურ დავალებას წარუდგენს საბჭოს და მენეჯმენტს და ვებსაიტზე განათავსებს საბჭოს მიერ შესაბამისობის განხილვის სანქციონებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

II. შესაბამისობის შესწავლის მოთხოვნა

4. ქვემოთ შეჯამებულია მოკლე ცნობები მოთხოვნისა და პროექტის შესახებ:

პროექტის დასახელება	სესხი 3063-GEO: MFF-მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა – ტრანში 3
ქვეყანა	საქართველო
მსესხებელი	საქართველოს მთავრობა
პროექტის დამტკიცების თარიღი	25 ნოემბერი 2013
პროექტის დახურვის თარიღი	31 დეკემბერი 2018
თხოვნის მხარეები	ანიკო ნიჟარაძე, დიანა ბოტკოველი და 9-სართულიანი კორპუსის 79 მაცხოვრებელი, 12-33 კვარტლი, რუსთავის გზატკეცილი, თბილისი ისინი უშუალოდ პროექტის ზეგავლენის ქვეშ არიან მოქცეული და არ არიან წარმოდგენილი სხვა პირებით
ბრალდებები	<p>საჩივარი ეხება 1–ელ ქვეპროექტს: თბილისი–რუსთავის ურბანული სატრანსპორტო კვანძი (სექცია 2), რომელიც ითვალისწინებს არსებული გზის მოდერნიზაციას და ახალი გზის მშენებლობას ფონიჭალიდან რუსთავამდე. დასრულების შემდეგ ამ პროექტის მთლიანი გზის სიგრძე იქნება 6.8 კმ, აქედან 3.8 კმ – ახალი გზის სიგრძეა, რომელიც მდინარე მტკვრის გასწვრივ აშენდება. დასრულების შემდეგ უნდა მივიღოთ საერთაშორისო სტანდარტების, პირველი კატეგორიის გზატკეცილი 4–დან 6–მდე ზოლით, 120 კმ/სთ საერთო დაგეგმილი სიჩქარით. ზოგან გათვალისწინებულია სიჩქარის შემცირება ხმაურის ზემოქმედების შესამცირებლად.</p> <p>მოსარჩევეები ამტკიცებენ, რომ შემოთავაზებული გზის მშენებლობა და ექსპლუატაცია დააზარალებს მათ, რადგან (i) ვიზრაცია უარყოფითად აისახება მათი საცხოვრებელი კორპუსის სტრუქტურული მთლიანობაზე და (ii) ხმაური დაარღვევს მათი რაიონის სიმშვიდეს;</p> <p>საჩივარში აღნიშნულია რომ ზოგიერთი მაცხოვრებელი უსინათლოა, ან მხედველობადაქვეითებული, ან / და სოციალურად დაუცველი.</p> <p>მოსარჩევეები არ ექვემდებარებიან არანებაყოფლობით განსახლებას ამ ქვეპროექტის ფარგლებში. თუმცა, შემოთავაზებული გზა მონაკვეთთან სიახლოვის გამო ისინი სავარაუდოდ მოექცევიან ხმაურის და ჰაერის ხარისხის გაუარესების ზემოქმედების ქვეშ მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს.</p>

ADB ოპერაციების დეპარტამენტი პასუხისმგებელი	ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი (CWRD)
პროექტის უსაფრთხოების კატეგორიზაცია	კატეგორია B – გარემოზე ზემოქმედება კატეგორია A – განსახლების ზემოქმედება კატეგორია C – მკვიდრ მოსახლეობაზე ზემოქმედება
პროექტის აღწერა	<p>პროექტი არის ნაწილი \$1.1 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საინვესტიციო პროგრამისა (2010-2020), რომლის მიზანია საქართველოში ურბანული ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და უწყვეტობის გაუმჯობესება. მისი ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, 2010 წლის ივლისში აგბ-ის მიერ დამტკიცდა მრავალტრანშიანი დაფინანსების ინსტრუმენტი (MFF) მაქსიმალური თანხის ოდენობით \$ 300 მილიონი აშშ დოლარი. პროექტი, რომელიც აღნიშნული MFF-ის მე-3 ტრანშია, კონკრეტულად მიზნად ისახავს ურბანული სატრანსპორტო სისტემის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ორი ქვეპროექტით: (i) სექცია-2, რომელიც ითვალისწინებს თბილისი-რუსთავის ურბანული სატრანსპორტო კვანძის 6.8 კმ მოდერნიზაციას საერთაშორისო სტანდარტების, პირველი კატეგორიის 4-ზოლიან გზატკეცილად; და (ii) ანაკლიის სანაპირო ზოლის გაუმჯობესება – ეტაპი 2. მესამე ტრანშის ფარგლებში, ADB ასესხა საქართველოს მთავრობას თანხა ADB-ის ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსებიდან \$73 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. პროექტი, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) აფინანსებს, უნდა დასრულდეს 2018 წლის 30 ივნისს, სესხის დახურვის ვადაა 2018 წლის 31 დეკემბერი.</p> <p>დიზაინის მიხედვით, 6,8-კილომეტრიანი სექცია-2 კვეთს 2 კმ მონაკვეთს საცხოვრებელ და მჭიდროდ დასახლებულ ფონიჭალის უბნებში გარდაბნის რაიონში; შერჩეული ალტერნატივა გვერდს აუვლის საცხოვრებელ რაიონს, ტრასის 2.5 კმ გადის მდინარე მტკვრის და კრწანისის ტყე-პარკის გასწვრივ. 6,8 კმ სექცია-2-ის მშენებლობა სავარაუდოდ ზემოქმედებას იქონიებს 312 მიწის ნაკვეთზე შესყიდვას (29,5 ჰექტარი ფართობით), დაინგრევა 692 კონსტრუქცია (82 საცხოვრებელი ნაგებობა, 90 სამრეწველო და კომერციული ნაგებობა, 520 მცირე ნაგებობა). სულ 282 კომლი და 33 ბიზნესი დაზარალდება, რადგან იგეგმება ახალი გზის მონაკვეთების მშენებლობა მდინარე მტკვრის სანაპიროზე, გზის გაფართოება, საფარის გაძლიერება, დრენაჟის გაუმჯობესება, ხიდების და მიწისქვეშა გადასასვლელების, საყრდენი კედლების, სატრანსპორტო კვანძის და ესტაკადის მშენებლობა, რაც ადგილობრივ მოსახლეობას გაუადვილებს გზის უსაფრთხოდ გადაკვეთას.</p>
პროექტის სტატუსი	სამუშაო პროექტი მზად არის. მშენებლობა, რომელიც, სავარაუდოდ, 17 თვე გაგრძელდება, არ დაწყებულა, რადგან ჯერ კონტრაქტი არ მიუნიჭებიათ.
შემსწავლელი	Arntraud Hartmann, CRP წევრი, უხელმძღვანელებს შესაბამისობის

	განხილვას, მას დახმარებას გაუწევს Lalanath De Silva, CRP წევრი, ასევე Dingding Tang, თავმჯდომარე, CRP.
საკონტაქტო პირი	Dingding Tang თავმჯდომარე, CRP, პარალელურად, OCRP-ის უფროსი Email: crp@adb.org ტელ: (+63 2) 632 4336

III. შესაბამისობის განხილვის ჩარჩოები

6. ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის (AMP) 183-187 პარაგრაფების და ოპერაციების სახელმძღვანელოს (OM) ნაწილი L1/OP 76-80 პარაგრაფების შესაბამისად შესაბამისობის განხილვისას გამოიკვლევენ ADB-ის მიერ მისი ოპერაციული პოლიტიკისა და პროცედურების სავარაუდო დარღვევებს, რამაც მიაყენა, ან შეიძლება მიაყენოს პირდაპირი და მატერიალური ზიანი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებს პროექტის შემუშავების, დამუშავების ან განხორციელების მსვლელობისას. იგი არ არის გამიზნული მსესხებლის შესამოწმებლად. შესაბამისობის განხილვის ჩატარების შემდეგ CRP მიაწვდის საბჭოს (BCRC-ის მეშვეობით) დასკვნებს და რეკომენდაციებს მას შემდეგ, რაც მიიღებს და გაითვალისწინებს მსესხებლის, მომჩივანების და მენეჯმენტის შენიშვნებს.

7. დასაშვებობის მიმოხილვის დასკვნებზე დაყრდნობით, CRP განიხილავს ADB-ის ოპერაციულ პოლიტიკასა და პროცედურებს პროექტის ფორმულირების, დამუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებით, რომლებიც ძალაში იყო საბჭოს მიერ სესხის დამტკიცების მომენტში; მათ შორის:

- (i) უსაფრთხოების პოლიტიკის დებულება (SPS) 2009;
- (ii) საჯარო კომუნიკაციის პოლიტიკა 2011;
- (iii) OM ნაწილი F1 (უსაფრთხოების პოლიტიკის დებულება) გამოცემული 1 ოქტომბერს, 2013; და
- (iv) OM ნაწილი C3 (სოციალური ასპექტების გაერთიანება ADB ოპერაციებში) გამოცემული 2 აპრილს 2012.
- (v) OM ნაწილი L3 (საჯარო კომუნიკაციის პოლიტიკა)

IV. შესაბამისობის განხილვის ჩატარება და მეთოდოლოგია

8. შესაბამისობის განხილვის მთელი პროცესის განმავლობაში CRP კონსულტაციებს გაუწევს, საჭიროების შემთხვევაში, ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის მოსარჩელეებს, მსესხებელს, დაინტერესებულ სამთავრობო უწყებებს, შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, საბჭოს წევრს, რომელიც საქართველოს წარმოადგენს, მენეჯმენტს და პერსონალს.

9. შესაბამისობის განხილვა მოიცავს შემდეგს:

- (i) პროექტის ფაილების განხილვა;
- (ii) ადგილზე ვიზიტები საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობით;
- (iii) კონსულტაცია, მათ შორის, ინტერვიუები:
 - ADB მენეჯმენტთან, პერსონალთან და კონსულტანტებთან;
 - მოსარჩელეებთან;

- პროექტის შედეგად დაზარალებულ სხვა პირებთან;
 - მსესხებელთან;
 - შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ოფიციალურ პირებთან, საჭიროების შემთხვევაში;
 - შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, საჭიროების შემთხვევაში; და
 - საბჭოს წევრთან, რომელიც საქართველოს წარმოადგენს;
- (iv) კონსულტანტების ან ტექნიკური ექსპერტების ჩართვა, საჭიროების შემთხვევაში, CRP-ის დასახმარებლად;
- (v) სხვა განხილვის ან საგამომიებო მეთოდები, რომლებსაც CRP მიიჩნევს საჭიროდ თავისი საქმიანობის განხორციელებისას.

V. ვადები

10. CRP შესაბამისობის განხილვის პროცესის დასრულებას გეგმავს BCRC-ის მიერ TOR-ის კლირენსიდან 7 თვის გამნავლობაში. ქვემოთ წარმოდგენილია განხილვის სავარაუდო გრაფიკი:

საფეხური	მოვლენა	ვადები
4	შესაბამისობის განხილვის ჩატარება (დამოკიდებულია მისიის თანხმობის გაცემაზე მთავრობის მიერ, ადგილზე ვიზიტი იგეგმება 2016 წ. სექტემბრის მე-3 – მე-4 კვირამდე.)	ივლისი 2016 - ოქტ. 2016
5	შესაბამისობის განხილვის კომიტეტის ანგარიშის სამუშაო ვარიანტი. CRP ანგარიშის სამუშაო ვარიანტს დასკვნებითა და რეკომენდაციებით წარუდგენს მენეჯმენტს, მსესხებელს და მომჩივნებს შენიშვნებისთვის, ხოლო ასლს – BCRC-ს. (CRP-ის ანგარიშის სამუშაო ვარიანტის შენიშვნების/პასუხების მიღება მოსალოდნელია 24 იანვარს 2017 წ.)	15 ნოემბერი 2016 (შენიშვნების პერიოდია 45 სამუშაო დღე)
6	CRP საბოლოო ანგარიში. მენეჯმენტის, მსესხებლის და მომჩივნების შენიშვნების განხილვის შემდეგ CRP დაასრულებს თავის ანგარიშს და საბოლოო ანგარიშს წარუდგენს საბჭოს, მენეჯმენტის, მსესხებლის და მომჩივნების შენიშვნებთან ერთად; აგრეთვე CRP-ის მიერ მომზადებულ მატრიცას, რომელშიც შეჯამებული იქნება მისი რეაგირება ამგვარ პასუხებზე.	13 თებ. 2017 (მენეჯმენტის, მსესხებლის და მომჩივნების შენიშვნების მიღებიდან 14 სამუშაო დღის განმავლობაში)
7	საბჭოს მიერ შესაბამისობის განხილვის კომიტეტის ანგარიშის განხილვა.	საბჭოს მიერ CRP-ის საბოლოო ანგარიშის მიღებიდან 21 კალენდარული დღის განმავლობაში

11. ეს გრაფიკი არ ითვალისწინებს დამატებით დროს თარგმნისთვის, ვადის გაგრძელებას პასუხების დაფაილებისთვის, ან სხვა მნიშვნელოვანი ადგილობრივი პოლიტიკური მოვლენებისთვის, რომლებმაც შესაძლოა ადგილზე ვიზიტის დაგვიანება გამოიწვიონ. თუ CRP საჭიროდ მიიჩნევს გრაფიკის შეცვლას, CRP-მა ჯერ BCRC-ის თანხმობა უნდა მიიღოს გრაფიკის შესწორებაზე.

V. შესაბამისობის განხილვის ბიუჯეტი

12. ქვემოთ წარმოდგენილია შესაბამისობის განხილვის ბიუჯეტი.

ბიუჯეტის მუხლები	თანხა
მივლინება	\$ 44,000.00
პროფესიონალური ჰონორარები CRP-ის ნახევარ-განაკვეთის წევრებისთვის	\$ 140,000.00
კონსულტანტები	\$ 86,500.00
ადმინისტრაციული ხარჯები (წერილობითი და ზეპირი თარგმანი, წარმომადგენლობა, და საკურიერო მომსახურება)	\$ 8,000.00
ჯამი	\$ 278,500.00

/S/Dingding Tang

შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე

/S/ Lalanath de Silva

შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის წევრი (ნახევარ-განაკვეთზე)

/S/Arntraud Hartmann

შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის წევრი (ნახევარ-განაკვეთზე)

28 ივნისი 2016